# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 113 სამშაბათი, 26 მაისი 1909 წ. № 113

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. უსასყიდლოდ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს და ხუთშაბათს, 27 და 28 მაისს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგ. სასარგებლოდ

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

## ივ. ალ. ჯავახიშვილი

წაიკითხავს ქართულად ორ ლექციას:

## „ქართულის სამართლის ისტორია"

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი: თითო ლექციისთვის ლოჟები: ლიტერისა 5 მ., ბენუარი და ბელეტაჟი 3 მ., პარტერი: 1 რიგი 1 მ. 50 კ., 2—4 რიგი 1 მან., 5—10 რიგი 75 კ., 11—17 რიგი 50 კ., გალერეა: 1 რიგი 30 კ., დანარჩენი 20 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილით 10—2 ს., საღამოთი 6—8 ს. (3—2)

28 მაისს 1909 წელს სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის

## საქართველოს ეგზარხოსის ნიკონის

სულის მოსახსენებლად, ხოლო შემდეგ ლიტანია სასინოდო კანტორის შენობაში. იმ ადგილას, სადაც მხეცურად მოკლულ იქმნა მისი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა ნიკონი, მოხდება კურთხევა ნიშისა, შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი. (3—6.—1)

ხვიმონ გარსევანის ძე და დარია ლუარსაბის ასული ყიფიანები, ლუარსაბ ქაიხოსროს ძე და კესარია პავლეს ასული ჯაფარიძენი შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველნი—უსაყვარლეს შვილის, ხოლო მეორენი—შვილიშვილის ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფის

## ვასო ყიფიანისას.

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 ს., მეორე კრასნოგორსკის ტუპიკი, სახ. № 2. გამოსვენება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ოთხშაბათს, დილის 10 ს., დასაფლავება იმავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—279—1)

## ანონსი

ქართული თეატრი

შაბათს, 30 მაისს ქართულ დასის მიერ ნ. დავითაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა ალ. სუმბათაშვილისა.

## წინამძღოლნი

ხუთი ეპიზოდი ცხოვრებიდან.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (5—2)

## სურამში

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ იყიდება საუკეთესო საააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი ფიჭვის და მუხის პარკე'ი. ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწდომი: ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი. შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—6)

მიიღება ხელის მოწერა

## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. მიო ქუჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—9)

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა გიოტეს უკვდავი ქმნილება

## ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Болквадзе. (10—6.—9)

„ტფილისის სობრანიე"

სამშაბათს, 26 მაისს, საზამთრო სადგომში

## საოჯახო საღამო

კონცერტი სიმებიან ორკესტრისა ს. ო. პრესმანის და ა. ი. ფიდელმანის გამგეობით.

სტუმრების შესვლა საზოგადო წესით, ფასით: მამაკაცები იხდიან 1 მ., მანდილოსნები 50 კ.

დასაწყისი საღ. 9 ს. (277—1)

## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—1)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოლღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 70)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—85)

**ექიმი** ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდთრთვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—67)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ა. დიასამიძე სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში" ვოგზლის ქუჩაზე № 8, შუადღის 12—2-მდე.

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდოლის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—152)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საავადმყოფოთ 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)


## ტფილისი, 26 მაისი

პეტერბურგის გაზეთების უკანასკნელის ცნობით, სინოდმა განიხილა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და მოიწონა ამ კომისიის აზრი საქართველოს ეგზარხოსის თანამდებობის გაუქმებაზე; ამ თავის დადგენილების გამო სინოდი კავკასიის ნამესტნიკს შეეკითხება.

ამნაირად, მართლდება ის ხმები, რომელიც კარგა ხანია გავრცელდა პრესაში. სინოდი არ უცდის სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრებას, რომელსაც, მისავე აზრით, უნდა გადასცემოდა ამ საკითხის გადაწყვეტა, არ ათხოვებს ყურს არც ქართველ სამღვდელოების, არც საზოგადოების, ღაღადს, არც თვით რუს საეკკლესიო მწერალთა და მეცნიერთა რჩევას; იგი თვითონ, თავის შეხედულებითა და პასუხის მგებლობით, სწყვეტს მძიმე საკითხს და სწყვეტს წინააღმდეგ დაინტერესებულ მხრის სურვილისა და სამართლიანის მოთხოვნისა. მოულოდნელი აქ, რასაკვირველია, არა არის-რა. უწმ. სინოდი ამ ჟამად სათავეში უდგია არა მარტო საეკკლესიო-სასულიერო, არამედ საერო-საპოლიტიკო რეაქციასაც და რად მიიჩნევდა ვისმეს ღაღადსა ან რჩევას?! უწმ. სინოდი, რომელიც მხნედ ებრძვის 17 აპრილის ცნობილ აქტს სარწმუნოებრივ თავისუფლების შესახებ და 17 ოქტომბრის არა ნაკლებ აქტს სამოქალაქო თავისუფლების შესახებ, როგორღა შეჩერდებოდა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების საკითხის წინაშე?! დიაღაც არ შეჩერდა და აპირებს სამუდამოთ საკითხის მოსპობას თავის ახალის მოხერხებულის გეგმით: სპობს ეგზარხოსობას და იმის მაგიერ აარსებს ამიერკავკასიაში ცალკე ეპარქიებს.

თავის თავად ეგზარხოსობა არაფერს ისეთს წარმოადგენს ქართველთა ეკკლესიისთვის, რომ მისი გაუქმება მაინცა და მაინც ვისმეს საწყენად დარჩეს. საეგზარხოსო იგივე უუფლებო ეპარქიაა, რომელიც სრულიად სინოდის მორჩილებაშია, როგორც თითოეული საარქიეპისკოპოზო შიდა რუსეთში. მაგრამ თავის გარეგანის განსხვავებით, გამოცალკევებით იგი მაინც აგონებდა ქართველ ერს თავის ძველ დამოუკიდებელ ეკკლესიას. მორწმუნე საზოგადოებას და სამღვდელოებას თან ის იმედიც ასულდგმულებდათ, რომ უკეთეს დღეებში ეგზარხოსად ქართველი მღვდელ-მთავარი დაინიშნებაო, ხოლო როცა თვით რუსეთის ეკკლესია განთავისუფლდება სინოდის მძიმე ბატონობასაგან, საქართველოს საეგზარხოსოშიაც ბუნებრივად და ადვილად მოთავსდება ქართული საეკკლესიო თვითმართველობაო. სინოდის ახლანდელი განზრახვა ამ მცირე გარეგნულ უპირატესობასაც ართმევს ქართულ ეკკლესიას და აყენებს მას ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიაც ყოველი ეპარქიაა თვით რუსეთში...

დანამდვილებით არ ვიცით ჯერ „რეფორმის" სრული გეგმა. ამის შესახებ სხვა და სხვა ხმა გავრცელდა. ამბობენ, ამიერ-კავკასიაში სამი განსაკუთრებული ეპარქია დაარსდებაო: რუსული, „ქართული" (ქართლ-კახეთისა და იმერეთისა) და გურია სამეგრელოსი, რომელთაგან თითოეული ცალკე და დამოუკიდებელი ეპარქია იქნება, სინოდის ხელქვეითი. ეს წამდვილი მაკიაველისტური დანაწილება და დაქსაქსვა იქნება ქართველთა ეკკლესიისა, divide et impera-ს პრინციპზე. საქართველოს ეკკლესია ორად გაიყოფა და ხელი შეეწყობა მის უარეს დეზორგანიზაციას. ამბობენ კიდევ, რომ ამიერ-კავკასიაში ორი ეპარქია იქნება—რუსული და ქართულიო. ეს პირველ გეგმას სჯობია, საქართველოს ეკკლესიის მთლიანობას მაინც არ არღვევს,—მით უმეტეს სჯობია, რომ როგორც ამბობენ, ამ ქართულ ეპარქიის სათავეში ქართველი მღვდელმთავარი უნდა ჩადგესო; მაგრამ ცხადია, ესეთი ორგანიზაცია დროებითი იქნება. პირდაპირი განზრახვა რუსეთის სასულიერო მთავრობისა ისაა, რომ სავსებით მოისპოს ყოველი ნიშანწყალი, ყველა გარეგანი ნიშანი იმისა, რომ ოდესღაც ქართული ეკკლესია დამოუკიდებელი იყო. ამისათვის უმჯობესია ქართულ ეკკლესიის რამდენიმე ეპარქიად გაყოფა ტერიტორიალურ პრინციპზე და ეს ასრულებულიც იქნება. ერთი ქართული ეპარქია, თუ ასეთის დაარსება მართლა განზრახულია, დროებითი, გარდამავალი ორგანიზაცია იქნება „ძირითად რეფორმის" გასაადვილებლად.

ასეთია სინოდის პასუხი იმ საეკკლესიო საზოგადოებრივ მოთხოვნაზე, რომელიც ბევრ უკიდურეს რეაქციონერსაც-კი მიაჩნია სამართლიანად, და სხვანაირი არც-კი შეიძლებოდა ყოფილიყო. უმაღლესი სასულიერო დაწესებულება რუსეთისა პოლიტიკაში ჩაფლული და პოლიტიკის თვალსაზრისით უყურებს ჩვენ საქმესაც. ქართულ ეკკლესიის თვითმართველობას იგი უყურებს არა როგორც მორწმუნე ხალხის სულიერ მოთხოვნილებას, არამედ როგორც იარაღს „სეპარატისტულ მისწრაფებათა" განსახორციელებლად. როგორც დაწესებულება, ახლანდელ რეაქციის სათავეში მდგომი, სინოდი ბუნებრივი მტერია ყოველ თავისუფლებისა, ყოველგვარ თვითმართველობისა და გასაკვირველი ის იქნებოდა, ნაბიჯი წინ გადაედგა და ყური ეთხოვა გაუბედურებულ ეკლესიის სურვილისათვის.

თავის თავად ცხადია, ამრიგად, რომ ამაოა იმათი მოლოდინი, ვინც ეხლანდელ რუსეთის პოლიტიკურ პირობებში მოელის საქართველოს საეკკლესიო საკითხის გადაწყვეტას. სანამ თვით რუსეთის ეკკლესია დღევანდელ პირობებში იქნება, სანამ თვით რუსული ეკკლესია შებორკილია პოლიციურის ჯაჭვით, ქართულ ეკკლესიასაც არ ეღირსება დამშვიდება და ნორმალურ კალაპოტში ჩადგომა. მხოლოდ მაშინ, როცა განახლებული რუსეთი ფაქტად აქცევს 17 აპრილისა და 17 ოქტომბრის დაპირებებს, დადგება დრო საქართველოს ეკლესიის სამართლიან მოთხოვნის აღსრულებისთვისაც.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**გადასვლა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში.**

23 და 24 მაისის სხდომებიც სათათბირომ იმ კანონ-პროექტს მოანდომა, რომელიც შეეხება ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლას.

22 მაისის სხდომის დასასრულს (დეპეშამ ეხლა გადმოგვცა) მემარჯვენეთა ფრაქციამ განცხადება შეიტანა—დაიჩქაროს სათათბირომ განხილვა ოპოზიციის მიერ შეტანილ შეკითხვისა, რომელიც შეეხება ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მოქმედებასაო. განცხადებასთან ერთად ტიმოშკინმა განაცხადა—დააჩქარეთ შეკითხვის განხილვა, რომ ყველას დაუმტკიცოთ კავშირის სიწმინდეო. დაადგინეს, ეს შეკითხვა განიხილონ ოთხშაბათს.

ზემოხსენებულ კანონ-პროექტის შესახებ 23 მაისის სხდომაზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა. ილაპარაკეს მემარჯვენეებმაც. სხვათა შორის კარაულოვმა გაიხსენა ის წამება, რომელიც ხოლმის მცხოვრებთ განიცადეს. ხოლმშიო, სთქვა მან, მართლმადიდებლობა ქადაგებით და სიყვარულით კი არ გაავრცელეს, არამედ დრაგუნის მათრახითაო, სთქვეს სიტყვები აგრეთვე კადეტმა მილიუკოვმა, ს.-დემოკრატმა პოკროვსკიმ. ბოლოს სკანდალიც მოხდა.

ამ სხდომაზე თავმჯდომარეობდა მეიენდორფი. სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა მემარჯვენემ ეპისკოპოსმა ევლოგიმ. მისი სიტყვა, როგორც ყოველთვის, სიძულვილით იყო სავსე. სიტყვის დასასრულ მან სთქვა: მე კათოლიკეს მეძახიან, რადგან ხოლმის რუსებს ვიცავ პოლონელ ძალმომრეობისაგან. არ მიკვირს, როცა ამას ამბობენ პოლონელები, რადგან პირი იმას ეწვის, ვისაც პილპილი უჭამია, მაგრამ რადგან ამასვე იმეორებენ რუსები, თუნდაც კადეტების ფეხის ხმის ამყოლნი, ვიტყვი, რომ ეს საზიზღრობაა, ფარისევლობა, ორპირობა და სიმართლის მასხარად აგდება; ვეტყვი მათ: სირცხვილი თქვენ, ბატონებო (ტაში მარჯვნივ).

თავმჯდომარემ უთხრა ევლოგის: თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ! უკანასკნელ სიტყვების გამო, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გთხოვოთ წესიერება დაიცვათ.

სთქვა თუ არა ეს თავმჯდომარემ, მარჯვენა მხარეს, ერთი ყვირილი და ხმაურობა გაისმა. მემარჯვენენი აბრახუნებდნენ პიუპიტრებს და თან ღრიალებდნენ: „ინოროდეცო რა უფლება გაქვს შენიშვნა გაუკეთო მართლმადიდებელ ეპისკოპოსს". „ჩუხონელო ბარონო!" „გარედ გააგდეთ ინოროდეცი!" „შეუძვერი ურიებს!" „გაეთრიე აქედან!" „ეს ლოთობაა!" „რუსის პურით იკვებები და ურიებს კი იცავ!" და სხვა ამისთანებს გაიძახოდნენ მემარჯვენენი. ეს არ იკმარეს, წამოხტნენ ადგილებიდან და მივარდნენ თავმჯდომარეს ტრიბუნას, მაგრამ ამ დროს ცენტრი და მემარცხენენიც წამოხტნენ, გზა გადაუღობეს მემარჯვენეებს და მიუშვეს თავმჯდომარესთან. ესე პირისპირ იდგა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი. იდგა დაუსრულებელი ხმაურობა და ყვირილი.

ბოლოს თავმჯდომარემ თავის ადგილს თავი მიანება და გავიდა. იმის განკარგულებით, ბოქაულის თანაშემწეებმა სთხოვეს დეპუტატებს დაშლილიყვნენ, რადგან სხდომა შესწყდაო.

მეორე დღეს, 24 მაისს, სხდომის დაწყებისასვე ამ ინციდენტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა სათათბიროს თავმჯდომარემ ხომიაკოვმა. მან დიდი მწუხარება გამოსთქვა ინციდენტის გამო და განაცხადა: რაც მესამე სათათბირო არსებობს, ასეთი ამბავი არ მომხდარა: თავმჯდომარეს, თითონ სათათბიროს მიერ არჩეულ თავმჯდომარეს, შეურაცხყოფა მიაყენესო. ბოლოს ხომიაკოვმა სთხოვა სათათბიროს, ერიდოს თავმჯდომარის შეურაცხყოფასაო.

ამ დღეს საინტერესო იყო სიტყვა მარკოვ მეორესი. მან ჩვეულებრივი აზრი წარმოსთქვა: რუსეთი არსებობს იმიტომ, რომ ყველა ხალხი ერთ ხალხად აქცია (ე. ი. იგი გაარუსა), ყველა სარწმუნოება ერთ სარწმუნოებად გადაჰქმნასო და სხვა. მართლმადიდებელ სარწმუნოებიდან სხვა სარწმუნოებაში გადასვლა ბოროტებაა და მთავრობა უნდა ებრძოლოს ამ ბოროტებასაო. ამასთან ორატორმა ეს საქმე შეადარა ლოთობას, გარყვნილებას, საროსკიპო სახლებს და სხვას, რითაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენა არა მართლმადიდებელ დეპუტატებს. ზოგმა შემდეგ პროტესტიც განაცხადა.

ამავე დღეს ცხარე სიტყვა წარმოსთქვა როდიჩევმა.

სათათბირომ აირჩია ათი კაცი. ხუთმა კანონ-პროექტის წინააღმდეგ უნდა ილაპარაკოს, ხუთმა მის სასარგებლოდ.

ამ დღეს კანონ-პროექტის განხილვა არ დასრულებულა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 მაისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვით ადანაში სრული მშვიდობიანობაა. საალყო წესები ძალაში რჩება. მცხოვრებთ აჰყარეს იარაღი. ყველგან გაძლიერებული ჩხრეკაა. გატაცებულ ქონებას პატრონებს უბრუნებენ.

**სალონიკი.** რადგან ხმა გავრცელდა, რომ კუნძულ კრიტოსის ანექსიას აპირებენო, აქ საიდუმლო ბრძანება მოვიდა, მესამე კორპუსის მობილიზაცია მოახდინეთო. ახალგაზრდა ოსმალონი აცხადებენ, რომ თუ სახელმწიფოები ნებას მისცემენ საბერძნეთს, განახორციელოს თავისი სურვილი და კრიტოსი შეიერთოს, მაშინ ოსმალეთი ომს ამჯობინებსო. მაკედონიაში საბერძნეთის ბრბოების გამრავლება და ბერძნების შეიარაღება მიზეზს იძლევა ვიფიქროთ, რომ ბერძნებს განზრახული აქვთ არეულობა მოახდინონ, თუ ოსმალეთი ანექსიის წინააღმდეგ წავა. გაზეთები მარტო კრიტოსის საკითხზე სწერენ და ომს ჰქადაგებენ. ბერძნების წინააღმდეგ აღელვებულნი არიან.

**სტამბოლი**. გამოაქვეყნეს საზღვაო მინისტრის განკარგულება, რომლითაც საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 63 სამხედრო გემი: ხუთი ჯავშნიანი გემი, ორი კრეისერი, სამი მონიტორი, 19 ნაღმოსანი, ორი წყალ-ქვეშ მავალი ნავი და სხვა. თუ ეს გემები გაიყიდა, ოსმალეთს დარჩება: 9 ჯავშნიანი გემი, 15 ნაღმოსანი და 3 კონტრ-ნაღმოსანი. სამხედრო მართველობამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლითაც ოსმალეთის ქალებს მაღაზიებში შესვლის დროს სახიდან ჩადრის ჩამოხსნა ეკრძალებათ. პოლიციას ევალება ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და შესაფერ შემთხვევებში ოქმი შეადგინოს.

სომეხთა კათალიკოსი იზმირლიანი გემით წავიდა აქედან. სომხებმა დიდის ამბით გააცილეს.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატაში შეიტანეს კანონ-პროექტი არაბეთის მართვა-გამგეობის შესახებ. პალატამ მოისმინა რამდენიმე შეკითხვა; მათ შორის, შეკითხვა, თუ რატომ თავის დროზე არ მისცეს ანატოლიის დაზარალებულ მცხოვრებთ ასი გირვანქა. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, ეს ფული მაისში მივეცითო. პალატა დაკმაყოფილდა მინისტრის განმარტებით.

**სალონიკი**. ალბანიაში ხალხს ატუსაღებენ. ყოველ დღე მოჰყავთ დატუსაღებულნი და შემდეგ სტამბოლში ჰგზავნიან. მცხოვრებთ იარაღს ჰყრიან. იარაღს მარტო ქალაქის მცხოვრებნი იძლევიან, მთიელნი კი იმუქრებიან და გადაჭრილ უარს აცხადებენ, იარაღს ვერავის მივცემთო. ჯევად-ფაშა იარაღის წასართმევად წავა. ნაკიმალსოფიის თემმა 17 შეიარაღებული რაზმი შეადგინა. შესაძლებელია, ამ რაზმებსა და ჯევად-ფაშას შეტაკება მოუხდეთ. საკონსტიტუციო კლუბებმა ახალგაზრდა ოსმალთა ცენტრალურ კომიტეტს ვრცელი მოხსენება წარუდგინეს. მოხსენებაში დაწვრილებითაა აღწერილი მაკედონიის ეხლანდელი მდგომარეობა.

მოვიდა ბრძანება, რომლითაც მესამე კორპუსის მობილიზაცია აღარ მოხდება, რადგან ამ კორპუსის სალდათები უკანასკნელ დროის ამბების გამო ძალიან მოიქანცნენო. ჯერ-ჯერობით მოიწვიეს მეოთხე კორპუსის სათადარიგო ჯარის-კაცები.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატამ დაადგინა, გაიგზავნოს სპარსეთში რამდენიმე რაზმი. რაზმებმა უნდა დაიცვან ოსმალეთის საკონსულოები.

**სტამბოლი**. აღმოსავლეთის რკინის გზების საკითხი მოწესრიგდა.

### საზღვარ-გარეთ.

**ვენა**. დეპუტატთა პალატა. ბოსნიის სააგრარო ბანკის შესახებ კამათი 8 საათს გაგრძელდა და ამიტომ თავმჯდომარემ მოინდომა სხდომის გადადება. ოპოზიციამ მოითხოვა კამათის გაგრძელება. ოპოზიციის წინადადება მიიღეს. სხდომის გაგრძელების დროს ასტყდა დიდი აურზაური და ხმაურობა. მთავრობის პარტიამ ასტეხა, რადგან უნდოდა კამათი გადაედო. სხდომა რამდენჯერმე შესწყვიტეს და ბოლოს გადასდეს.

**ლონდონი**. „ტაიმსი" სწერს: ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში გემების პატრონებმა რამდენჯერმე განიზრახეს მთელი ქვეყნის გემის პატრონთა ფედერაციის დაარსება. მიზეზი ის იყო, რომ გემების პატრონებს მატროსებთან და მუშებთან ხშირად უთანხმოება მოსდისთ. ამ რამდენიმე დღის წინედ ლონდონში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრნენ რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და სკანდინავიის დელეგატები. კრებამ განიხილა წესდება. ჰფიქრობენ, რომ ახალი ორგანიზაცია ივნისის ნახევარს დაიწყებს მუშაობას.

**ბერლინი**. ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ გერმანია საბერძნეთს ურჩევს, კრიტოსი ხელში ჩაიგდეო, და ვითომ გერმანიას უნდოდეს კრიტოსზე ნახშირის სადგური გაიჩინოსო. „ნიუ-დოიტშე-რაიხს-კორესპ." სწერს: გერმანიას აზრად არა აქვს კრიტოსზე ნახშირის სადგური გაიჩინოს; არც ის ვიცით, სამთა კავშირს აქვს თუ არა ასეთივე განზრახვა. იტალიას კრიტოსის საკითხში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც კრიტოსის ერთ მფარველთაგანს. გერმანია და ავსტრია კრიტოსის მფარველებს ანდობენ კრიტოსის ბედის გადაწყვეტას, თვითონ კი იმდენად არიან ამაში დაინტერესებულნი, რამდენადაც ეს საკითხი ევროპის მშვიდობიანობას დაარღვევსო.

**კრაკოვი**. დღეს დილით თავის სახლში მკვდარი ნახეს ვექილი ვლადიმერ ლევიცკი, კურსისტ ქალის ბოროვსკაიას დამცველი. ბოროვსკაია გაზეთ „ნაპრედს" უწიოდა, რუსეთის პოლიციის აგენტობა დამწამაო. ბოროვსკაიამ, რომელიც ლევიცკის სახლში ნახეს, განაცხადა, ლევიცკიმ რევოლვერით თავი მოიკლაო. დააპატიმრეს ბოროვსკაია. გამოძიება სწარმოებს.

**კრაკოვი**. პოდგრუჟში მეხისგან აფეთქდა არტილერისტების წამლის საწყობი. მოკვდა და დაშავდა ერთი სალდათი. ზარალი დიდია. დაინგრა გლეხების სადგომი. დაშავდა 13 კაცი. პოდგრუჟის სადგური და რამდენიმე მატარებელი დაზიანდა. ქალაქში სახლების ფანჯრები დაიმტვრა.

**ჰავრი**. კერძო გემების მატროსების გაფიცვა გათავდა. მუშაობა დაიწყო.

**ლონდონი**. სრულიად ისგლისის ბეჭდვითი სიტყვის დელეგატთა კონფერენციის საპატივსაცემლოდ გაიმართა ნადიმი. ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა ლორდმა როზბერიმ. მან, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ შეგვიძლიან „დრედნოუტების" შენება და კიდევაც ავაშენებთ, რადგან ევროპა იარაღდება და პატარა კუნძული იძულებულია არ ჩამორჩეს მას. ეხლა ყველა ისე იარაღდება, რომ ამას კეთილი შედეგი არ მოჰყვება, თუმცა ისეთი საკითხი არ არის ეხლა, რომელსაც მშვიდობიანობის დარღვევა შეეძლოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისი ყველას პასუხს გასცემსო."

### რუსეთი

**პინსკი**. სოფელ პოჩაპოვოში გადაიწვა 49 გლეხის შენობები და უფველი უძრავი ქონება. დაიწვა აგრეთვე საზოგადო პურის ბეღელი.

**ვარშავა**. პრუშკოვის სოფლის სამართველოში ჟანდარმის ორი უნტერ-ოფიცერი შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ სამართველოში შევარდა სამი შეიარაღებული უცნობი. ასტეხეს სროლა, მოჰკლეს ერთი ჟანდარმი და დასჭრეს მეორე. მსროლელნი მიიმალნენ.

**მოსკოვი**. ყაზანის რკინის გზის საქონლის სადგურზე დაიწვა ოთხი ბაქანი, სადაც 150 ვაგონი თივა, დიდძალი ბამბა და ფქვილი იყო და 80-მდე ცარიელი ვაგონი იდგა.

**ბოროვსკი**. ისაევის ფაბრიკაში გასკდა ქვაბი. დაშავდა რამდენიმე მუშა, მათ შორის სამი მძიმედ.

**პეტერბურგი**. სენატმა განიხილა ლოპუხინის საკასაციო საჩივარი და შესცვალა განაჩენი. კატორგის ნაცვლად ლოპუხინს სამუდამო გადასახლება მიესაჯა.

2 მაისს ხოლერით ავად გახდა 12 კაცი, გარდაიცვალა სამი. 24 მაისს ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი.

**პოლტავა**. კრემენჩუგის მაზრაში, ოგივენკოს ეზოში, იპოვნეს მეთვრამეტე საუკუნის ფული, 712 ცალი.

**ვარშავა**. ვარშავის მახლობლად ორი სტრაჟნიკი დაედევნა საეჭვო პირებს, მაგრამ მათ რევოლვერები ესროლეს და მოჰკლეს ორივენი. მსროლელნი მიიმალნენ.

**დვინსკი**. დაიწვა ღარიბ მოსახლეთა უბანი. ცეცხლის ალი მსწრაფლ მოედო ერთი მეორეზე მიჯრილად სახლებს და მთელ ქუჩებს. დაზარალებულთა რიცხვი რამდენიმე ათასია. ზარალი მეტად დიდია.

**კიშინიოვი**. 23 მაისს ქალაქის მახლობლად რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ერთ მოსახლეს. დასჭრეს პატრონი. გამოარკვიეს, რომ თავდამსხმელთა ბრბო ადგილობრივ ანარქისტთა მფრინავ რაზმს ეკუთვნის.

**სერპუხოვი**. გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლემ დანით სასიკვდილოდ დასჭრა ისტორიის მასწავლებელი საფრანოვი.

**პეტერბურგი**. სენატის საკასაციო დეპარტამენტმა არ შეიწყნარა ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორად ნამყოფის ფრედერიკსის საჩივარი. დეპარტამენტმა უყურადღებოდ დასტოვა აგრეთვე საქმე პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის სასაზღვრო სტცხოვრებლის გამგის სტანეეიჩსა და მის ამხანაგისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ უმოქმედობა პოლიტეხნიკუმში მომხდარ არეულობის დროს.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ კრების გადადება**. ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრება, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, კვირას, 24 მაისს, არ შესდგა და გადაიდო 31 მაისისათვის.

**✦ ლომთათიძის თხოვნა**. „კასპის" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ლომთათიძემ დეპუტატ ჩხეიძეს მიმართა, მიშუამდგომლე, რომ ბათუმისა ან სუხუმის ციხეში გადამიყვანონ"-ო.

**✦ შეკითხვა**. რუსეთის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატები მასალას აგროვებენ და ამ მოკლე ხანში შეკითხვას შეიტანენ სომხების დაპატიმრების შესახებ კავკასიაში.

**✦ ბანკის კრება**. გუშინ, 25 მაისს, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებამ სამი საათი მოანდომა 1908 წლის ანგარიშის განხილვას. კრებამ ნაშუადღევის 2 საათზე დაამტკიცა ანგარიში და მცირე ხნის შესვენების შემდეგ შეუდგა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის ხანხილვას.

**✦ შემოწირულობა**. წ.-კ. საზოგადოებამ მიიღო ყარსის ქალთა წრისაგან (ქ-ნ მ. კიკნაძის გადმოცემული) ილიას ფონდისათვის 1908 წ., შეკრებილი 153 მან.; წინად მიღებული იყო 97.43, სულ მიღებულია 250.43 (ამ ფულში სარაყამიშში შეგროვილია 63 მან.).

**✦ მცარცველების შეპყრობა ბაქოში**. ბაქოს ქალაქის გამგეობის მოსამსახურეს, პეტ. დეპ. საიაგენტოს სიტყვით, წერილი მიუღია. უცნობები სთხოვდნენ 1000 მანეთს. წერილზე ეწერა „ბაქოს ტერორისტთა ჯგუფიო". როდესაც ფულის მისაღებად მისულან, მოსამსახურემ სხვა მოსამსახურეთა დახმარებით მოინდომა მცარცველების შეპყრობა, მაგრამ უცნობნი რევოლვერების სროლით გაიქცნენ. ბოლოს მცხოვრებთა დახმარებით მცარცველები შეიპყრეს.

**✦ ტრამვაის საქმეები**. ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორსა და ტრამვაის მოსამსახურე-მოხელეთა შორის, როგორც ვწერდით, ზოგიერთ სადაო საკითხების შესახებ შეთანხმება მოხდა და ხელ-შეკრულებაც დაიდო. როგორც გადმოგვცეს, საქარხნო ინსპექტორს ეს ხელ-შეკრულება არ დაუმტკიცებია და განუცხადებია, დამტკიცება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩემი შესწორებანი შეტანილ იქნება. დირექტორს ლებონს აზრადა აქვს, ეს საქმე განასაჩივროს სათანადო მთავრობის წინაშე.

**✦ კრება**. ტფ. საექიმო საზოგადოების დარბაზში, 31 მაისს საღამოს 7 საათისთვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის ექიმთა საზოგადოებისა.

**✦ ქალაქის საბჭო**. მეორე კვირაზე მეტია ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა არ შემდგარა. ეხლა სხდომა დანიშნულია 28 მაისისთვის.

**✦ დაჭრილების გარდაცვალება**. 22 მაისს მეტეხის ციხეში პატიმართა მიერ დაჭრილები მეთვალყურე პიპენკო და მინგრელსკი პოლკის სალდათი ივანე დუბოგრივი უკვე გარდაიცვალნენ.

**✦ საერობო თვითმართველობა თერგის ოლქში**. ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგში ჩავიდა არმავირ-ტუაპსეს რკინის გზის კონცესიონერთა დეპუტაცია. დეპუტაციაში, სხვათა შორის, იყვნენ თერგის ოლქის მცხოვრებნი. „ტერეკის" სიტყვით, ამ უკანასკნელებს უნახავთ ოქტომბრისტების ლიდერი გუჩკოვი და მასთან თერგის ოლქში საერობო თვითმართველობის შემოღებაზე ჩამოუგდიათ ლაპარაკი. გუჩკოვს უთქვამს, რომ ოქტომბრისტებს პარტიული კრება შემოდგომაზე ექნებათ; ამ კრებაზე თერგის ოლქში საერობო თვითმართველობის შემოღების შესახებ მოხსენებას პილიუტინი წაიკითხავს. საკითხი გამოირკვევა და ამის შესახებ კანონ-პროექტს სათათბიროში სხდომების გახსნისთანავე წარვადგენთო.

**✦ თავის მოწამვლა**. 24 მაისს, საღამოს 10 საათზე. ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფეს ვასილ ყიფიანს კარბოლის სიმჟავე დაულევია. ყმაწვილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გზაში გარდაიცვალა.

**✦ მეფუტკრეობის განყოფილება**. მიწად-მოქმედების მინისტრის კავკასიის რწმუნებულის სამართველოს განზრახვა აქვს, ტფ. საბაღოსნო სასწავლებელთან დაიარსოს მეფუტკრეობის განყოფილება.

**✦ შრომის ბირჟა**. ტფ. შრომის ბირჟაში შრომის მძებნელთაგან ჩაეწერა 360 უადგილო კაცი. საქმე დღემდე იშოვნა 60-მდე კაცმა.

**✦ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება**. 24 მაისს, დილის 10 საათზე, ქართულ თეატრში დაიწყო ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა

---

# კამათის დასასრული

(შემდეგი *)

ბ-ნ ანს გაგონილი ექნება ელიზე რეკლუს სახელი. რეკლუმ დასწერა „გეოგრაფიული ისტორია" (ადამიანი და მიწა). რეკლუ რომისა და საბერძნეთის შესახებ ბევრ რამეს ასწავლიდა ბ-ნ ანს. ეტყოდა, მაგალითად, რომ ეროვნებისადმი კულტი რომაელებში ელინთა ზედგავლენით ძლიერი იყო („Земля и человѣкъ", Выпускъ XIII, стр. 478.). ეტყოდა, რომ რომაელების ეროვნული კულტურა იმდენად ძლიერი იყო, რომ დამორჩილებული ხალხებიც კი ითვისებდნენ ამ კულტურას და ამ ხალხთა შორის ეროვნულ ნათესაობის ნიშნებიც ჩნდებოდნენ. რომაელების ენა ის ენა იყო, რომლის საშუალებითაც მკაფიოდ გამოთქმული იყო კანონი. ამ ენაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობდა და ამ ენით შესანიშნავი მჭერმეტყველობა ვითარდებოდა რომის ფირუმზე. რომაელების ენა განათლებულ ესპანელების, გალების და ბრეტონელების ენად ითვლებოდა (ibid გვ. 501). ისიც კი მოხდებოდა ხოლმე, რომ რომაელების მიერ დამორჩილებული ზოგიერთი ხალხი ისე მჭიდროდ ითვისებდა რომაელთა ეროვნულ კულტურას, რომ ამ კულტურის ზედგავლენის ნიშნები დღესაც ძლიერია ამ ხალხებში. ასე, მაგალითად, მოხდა დაკიაში. დაკია დღევანდელი რუმინიაა. რუმინელებმა რომაელების შემდეგ ბევრ ხალხთა ზედგავლენა განიცადეს. მათი სისხლი ნახევარზე მეტი სლავიანურია. მიუხედავად ამისა, რუმინელები დღეს ამაყობენ თავიანთ ვითამდა რომაულის ჩამომავლობით. (ibid. 518). საბერძნეთის შესახებაც ბევრ რასმე საინტერესოს ეტყოდა რეკლუ ბ-ნ ანს. მაგრამ ბ-ნ ანის გული ყველა ამითი ვერ დასჯერდებოდა. რეკლუ რომელი სპეციალისტი ისტორიკოსია, იტყვის იგი, რომ მის ნათქვამს ავტორიტეტის ხასიათი ჰქონდეს. და ეს მართალია. რეკლუ სპეციალისტი არ არის. მაგრამ განა სპეციალისტი აღარ მოიძებნება ამ ქვეყნად? ჩინებული ისტორიკოსია გროტი. ხოლო გროტის მოწმობაც არ გამოდგება, რადგან გროტი სპეციალისტია პოლიტიკურ ისტორიისა და ბ-ნ ანს, როგორც ეკონომიურ მატერიალიზმის მიმდევარს, პოლიტიკური ისტორიკოსები საინტერესოდ და სანდოდ ალბად არ მიაჩნია. ბ-ნ ანისთვის სანდო ისტორიკოსი უნდა იყოს ბელოხი. ბელოხმა დიდი ყურადღება მიაქცია ეკონომიურ ცხოვრების შესწავლას და თავისი „საბერძნეთის ისტორია" მართლაც და ორიგინალურად და შესანიშნავად დასწერა. ბელოხის ისტორიის გაცნობა ბ-ნ ანისთვის სწორედ რომ სასარგებლო იქნებოდა.

როგორც უკვე ვიცით ბ-ნი ანი ამტკიცებს, რომ „ბერძენთა ერი სრულიად არ გრძნობდა თავს ერთ ეროვნებათ". ამ საგნის შესახებ ბელოხი სულ სხვა აზრისაა. თუმცა ღრმა განსხვავებაა, ამბობს იგი, ბერძენთა და სხვა ტომთა შორის ენისა და ხასიათის მხრივ, თუმცა ამ განსხვავებას საბერძნეთის ისტორიის მსვლელობაზე დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ ეს განსხვავება უმნიშვნელოა შედარებით იმ მსგავსებასთან, რომლითაც ბერძენთა ერი ისხვა ერებისაგან ასე თვალსაჩინოდ განირჩეოდა. ჰეროდოტს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ ბერძენთა ერი ერთის სისხლისაა და ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხია, რომ მათ საერთო ტაძრები და სამღვთოები აქვთ და ზნე-ჩვეულებითაც არ განირჩევიან. და მიუხედავად პოლიტიკურის განცალკევებისა, ბერძნებმა ადრე შეიგნეს თავიანთი მთლიანობაო. („История Греции", Белоха, стр. 51). ბ-ნი ანი ამბობს: „საბერძნეთში ეროვნება, ეროვნული იდეა სრულიად არ შემუშავებულა, ეროვნული სახელმწიფო არ შემუშავებულა. აქ მეფობდა თემური იდეია, თემური კულტურა და თვითცრობიერებაო". ბელოხი ამ აზრს ძირიანად არღვევს. ჯერ კიდევ ტროიას ომის დროს გაღვიძებული ჰქონდათ ბერძნებს ეროვნული გრძნობა. ამ გრძნობას ისტორიის მსვლელობაში გარეგნულად ორი გამოსახულება ჰქონდა,—ერთი იყო საერთო რელიგიოზურ კულტის დაფუძნება და მეორე პოლიტიკურ ფედერაციების დაარსება. დელფი და დოდონა ჯერ კიდევ ჰომეროსის ხანაში მთელი ერის სამლოცველოებათ ითვლებოდენ. შემდეგში ამას ოლიმპია მოემატა. კუნძული დელოსი ეგეის ზღვის ორსავე მხარეზე მოსახლე იონიურ ტომთა რელიგიოზურ ცენტრად ხდება. დელფის ტაძრის გარშემო დაარსდა პირველი მუდმივი კავშირი ბერძენთა ტომებისა. აპოლონის ტაძართან არსდება მეორე კავშირი, „მეზობელ მცხოვრებთა კავშირი", რომელსაც ამფიქტიონიას ეძახდნენ. მერვე საუკუნიდან მოყოლებული ამ კავშირის წრე თან და თან იზრდებოდა, ბოლოს ამ კავშირში შედიოდა მთელი საბერძნეთი ისთმიდან ოლიმპიამდე... დელფის ამფიქტიონიამ მოკავშირეთა შორის ეროვნულ ერთობის გრძნობა განამტკიცა. ამ ამფიქტიონიის ზედგავლენით ბერძენთა ყველა ტომს „ელლინთა" სახელი დაერქვა. პოეტი ჰეზიოდი ხმარობს უკვე სიტყვას „ელლინი", ანუ „პანელლინი", რომლითაც მთელ ერს უწოდებს.

მაგრამ გამაერთიანებელი მოძრაობა მარტოოდენ რელიგიოზურ ნიადაგზე არ განვითარებულა. იგი აღმოცენდა პოლიტიკურ ცხოვრებიდან. ძველ ოლქებრივ სახელმწიფოების წრე თან და თან იზრდებოდა. არსებობდნენ დიდი პოლიტიკური კავშირები. რამდენიმე სახელმწიფო ერთმანეთს ფედერატიულად უერთდებოდა. ისიც იყო, რომ ხანდისხან ერთმანეთში ითქვიფებოდნენ და იშლებოდნენ ისინი. (ibid. გვ. 216, 217). ათინას გარშემო თანდათან იკრიბებოდნენ ხალხები. მერვე საუკუნეში ათინის სახელმწიფოში შედიოდა უკვე მთელი ატტიკა. (ibid. 218). ატტიკის გაერთიანებას კლისთენის კანონმდებლობამ შეუწყო ხელი: ბეოტიაში დაარსდა ფედერატიული სახელმწიფო, რომელიც რელიგიოზური კავშირისგან აღმოცენდა. ამგვარივე პოლიტიკური ფორმა განწესდა ჩრდილოეთ საბერძნეთში ფოკიდა-ლოკრიდიდან დაწყებული ოლიმპამდე. აქ თესალიის კავშირმა გაითქვა სახელი. პელოპონეზშიაც განკერძოვებული ოლქები დიდ კავშირებს აფუძნებდნენ ibid 219, 220, 223)

ყოველივე ეს რომ სახეში მივიღოთ, აშკარად დავინახავთ, რომ საფუძველს მოკლებულია ბ-ნ ანის აზრი, ვითომ საბერძნეთი თემის ჩარჩოებში სცხოვრობდა და თემურ იდეიას ემონებოდა. მაგრამ რაცა ვთქვით იმისი თქმაც მეტია, ერთ წამს მაინც რომ გავიხსენოთ სულიერი შემოქმედებითი ძალა ბერძნებისა და რომაელებისა. თემური კულტურაო! მთელ კაცობრიობას დღესაც ასაზრდოვებს ეს საკვირველი „თემური კულტურა"—რომაელთა კანონ-მდებლობა, ბერძენთა ლიტერატურა, ხელოვნება და ფილოსოფია და მოდით და ნუ გაოცდებით, საიდან, როგორ, რა გზით უნდა დაიბადოს ადამიანის ტვინში ისეთი უცნაური აზროვნობა, რომლის გარედ გამოფენას არც კი თაკილობს ჩვენი პუბლიცისტი. თემური იდეიაო! პლატონი, არისტოტელი, სოკრატი, ეპიკტეტი, მარკუს ავრელიუსი და მრავალი სხვა მოაზრე თუ კაპიტალიზმის ხანაში არა სცხოვრობდნენ, ამიტომ იყო რომ ჩამოუვარდებოდნენ აზრის სიღრმით, სიფართოვით და კეთილშობილობით კაპიტალისტურ ეპოქის პატარ-პატარა დოკტრინიორებს და დემაგოგებს, ან თუნდ თანამედროვე დიდ ფილოსოფოსებსაც და მეცნიერებსაც.

მაგრამ როდესაც ადამიანის ტვინში ჩაწვეთილია რაიმე რწმენა, ამ რწმენას ისე ადვილად ვერ აღმოფხვრით. და თუ რომელიმე აზრის რელიგიოზურ ხასიათის ნიშნებს ითვისებს, აზროვნების საქმე დაკარგულია. ბ-ნ ანს მუდამ ჟამს კაპიტალიზმის კულტის გარშემო ღვთის მსახურების გაჩაღება სწყურია. მისი რელიგიოზური აღფრთოვანება ისტორიაში კაპიტალისტურ ეპოქის დამკვიდრებამდე არარაობის მეტს არას ხედავს. სამაგიეროდ, რა გვარად ნათლდება ჩვენი ავტორის გული, როდესაც სასოებით ქარხნის დაჭვარტლულ საკვამლესაკენ იცქირება იგი და ლოცვასავით „უფალო შეგვიწყალეს" გალობის კილოზე ამბობს: „კაპიტალიზმი გზას იკაფავს. ერი მოძრაობაში მოდის. ეროვნება წინ დგება. ეროვნული სახელმწიფო არსდება, ეროვნული ცივილიზაცია ჰმუშავდება". ამინ!

მეტად უხეირო არგუმენტებს იშველიებს ბ-ნი ანი. თავის აზრების გასასაღებლად. თუ იმ აზრის დამტკიცება გინდათ, რომ სახელმწიფო არაფერ შუაშია ეროვნულ კულტურის წარმოშობის საქმეში, ისეთი საბუთი წამოაყენეთ, რომ საბუთსა ჰგავდეს. თქვენ კი ამ მხრივ არავითარ გემოვნებას არ იჩენთ. წინა წერილებში ამტკიცებდით, ლატიშებს და რუტინელებს სახელმწიფო ორგანიზაცია არა ჰქონიათო, ეროვნება კი განუვითარებიათო, რაიც, როგორც ეხლა თქვენც იცით, სიმართლეს მოკლებულია; ახლა კიდევ აგიხირებიათ, საბერძნეთში სახელმწიფოც იყო, ეროვნული კულტურა კი არ აღმოცენებულაო. გინდათ სთქვათ, რომ ეროვნება უსახელმწიფოდ შესაძლებელია, იმისთანა საბუთებს კი ხმარობთ, რომ სწორედ სათაკილოა თანამედროვე პუბლიცისტისათვის. თქვენი წერილებიდანა სჩანს, რომ თქვენცა ჰგრძნობთ საჩოთირო პოზიციას, რომელზედაც დგეხართ და სამწუხაროა, რომ ამ საჩოთირო მდგომარეობიდან თავის დასაღწევად წვრილმან და ბოროტ ხასიათის კინკლაობაზედ გადადიხართ. ამ კინკლაობის აი ორი ნიმუში.

*) იხ. „დროება", N 112

ჩვეულებრივი კრება. პირველად კრების წევრთ მოისმინეს წირვა სიონის ტაძარში. გადიხადეს პარაკლისი და შემდეგ მიიღეს ფიცი. სიონიდან თავად-აზნაურნი თეატრში დაბრუნდნენ და თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილის თავმჯდომარეობით სხდომა გააგრძელეს. გუბერნიის მარშალმა წაიკითხა უქვეშევრდომილეს დეპეშის პირი და კრებამ დაავალა მისი გაგზავნა. შემდეგ გ. ა. ბაგრატიონ დავითიშვილის წინადადებით კრებამ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს ნამესტნიკს და ტფილისის გუბერნატორს. ამის შესახებ, კრებას უნდა შეემოწმებინა ზოგიერთი რწმუნებულის საჩივარი მათი სიიდან გამოკლების შემდეგ, მაგრამ მცირე კამათის შემდეგ დაადგინეს, ჯერ დეპუტატებმა და მარშლებმა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრება და შემდეგ კრებამ იქონიოს მსჯელობა, რადგან თავად-აზნაურთა კრებას დიდი კავშირი აქვს ბანკის საქმეებთან და რადგან ეხლაა კრება ბანკისა, დაადგინეს სხდომა შესწყვიტონ 28 მაისამდე.

✦ ვანო ბერძნიშვილმა პოლიციაში განაცხადა, მიხეილ ნიკოლოზის ძე კავკასიძემ სახლიდან 115 მანეთი მომპარა და სადღაც მიიმალაო. კავკასიძე ბერძნიშვილის ნათესავი ყოფილა.

✦ 24 მაისს, ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე, მუხრანის ბორანთან ნავზე მდგომ მგზავრებს ოჰანეზ ტერ-ავეტისიანცს, არუთინ ბაღდასაროვს და ავაქ ბუდაღოვს ნავი უეცრად გადაჰბრუნებიათ და მტკვარში ჩაცვივნულან. მათ ჩაშველებიან და გადაურჩენიათ.

✦ 24 მაისს პოლიციის მე-5 ნაწილის მოხელეებმა გაჩრიკეს იაკობ მირველოვი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი და პატრონები.

✦ პოლიციამ 24 მაისს დააპატიმრა ნიკოლოზ ლობაინი და ანტონ კრილოვი, რომელთაც ფედოტოვის სახლიდან გაუტანიათ 115 მან. ღირებული ნივთები.

# ოსმალეთი

**რუსეთის პროტექტორატი ოსმალეთის სომხებზე.**

გერმანულ გაზ. „ფრ. ცაიტუნგ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება 14 მაისის თარიღით: სომხის უმაღლეს სამღვდელოებას თათბირი აქვს გამართული, რომ მფარველობა სთხოვონ რუსეთს. ხმა დადის, რომ სომხის სამღვდელოებამ შესაფერი თხოვნა უკვე წარუდგინა რუსეთის საელჩოსა, რომელმაც მაშინვე პეტერბურგს გადასცა იგიო.

ოსმალეთის მთავრობასთან დაახლოვებული გაზ. „კურიერ დ' ორიან“-ი მკაცრად ჰგმობს თვით აზრს მფარველობის შესახებ და იმედოვნებს, რომ რუსეთი ვერ გაჰბედავს ასეთს ავანტიურას, რომლის შედეგის გათვალისწინება ამ ჟამად შეუძლებელიაო: გაჰქრა ის დრო, როდესაც რუსეთი კაინარჯის ხელშეკრულობის (ეკატერინე მეორეს დროს იყო შეკრული) ძალით თავის თავს ქრისტიანების მფარველად სთვლიდაო.

მეორე დღეს იმავ გაზეთს დეპეშით შეატყობინეს სტამბოლიდან, რომ სომხის საქმეში ჩახედული წრეები გადაჭრით უარჰყოფენ ხმას, ვითომ სომხები მფარველობას სთხოვდნენ რუსეთს. დეპეშაში ნათქვამია: „სომხები სრულის ნდობით უცქერიან ოსმალეთის ეხლანდელ წესწყობილებას და იმედია, რომ სომხების მდგომარეობა ოსმალეთში ნორმალურს ხასიათს მიიღებსო; ხოლო რუსეთში, კავკასიაში, უკანასკნელ დროს სომხებს სდევნის რუსის მთავრობაო.“

**ახალგაზდა ოსმალთა პარტიის პროგრამა.**

ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ გამოაცხადა თავისი ახალი პროგრამა. სამწუხაროდ გაზეთებში ძლიერ მოკლედაა გადმოცემული ეს პროგრამა. მისი უმთავრესი მუხლებია: პასუხისმგებელი სამინისტრო, უფასო სავალდებულო საყოველთაო სწავლა სამშობლო ენაზე, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა იქნება ოსმალურს ენაზე.

**ოსმალეთის ახალი სესხი.**

ვაკუფების (საეკლესიო მამულების) მინისტრმა ხამადმა წარუდგინა დეპუტატთა პალატის პროექტი შინაგან $3^1/_2$ პროცენტიან სესხის შესახებ. ამ პროექტით ოსმალეთი შინვე ისესხებს 15—20 მილიონ ოსმალურ გირვანქას, სესხი უზრუნველ-ყოფილ იქნება სახელმწიფო ქონებით და გადახდილ იქნება 30 წლის განმავლობაში. მინისტრი მიჰმართავს მთელის ქვეყნიერობის პატრიოტულ გრძნობას. ჰფიქრობენ, რომ ამ ფულის ნაწილს ასესხებენ ოსმალეთს სხვა სახელმწიფოების მუსულმანები, ხოლო დანარჩენ ნაწილს ოსმალეთის ბანკებით. ეს ფული უნდათ ოსმალეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

**ახალი ოსმალური ფული.**

ოსმალეთის მთავრობამ მოაჭრევინა ახალი ფული ზედ წარწერით: „დოვლათ მაშრუტით ოსმანიათ“ — ესე იგი ოსმალეთის კონსტიტუციონური მთავრობა.“

**აბდულ-ჰამიდი სალონიკში.**

ფრანგულ გაზ. „ტან“-ის კორესპონდენტს შეუტყვია, რომ აბდულ-ჰამიდმა თითქმის ულაპარაკოდ გადასცა თავისი ფული სახელმწიფოსაო. სულთანს ყველაზე ძლიერ აწუხებს და სიცოცხლეს აშხამებს თურმე შიში: ვაი თუ მომკლანო. ალატინის ვილას ახლო ვიღაცა პატარა ბიჭმა თოფი ესროლა თურმე ბეღურა ჩიტებს. სროლის გაგონებაზე, სულთანს ისეთი კანკალი დააწყებინა, რომ ძლივს დაამშვიდეს. ბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, იგი უფრო ნდობით უყურებს თავის მცველებს და აღარ ეშინიან, რომ საჭმელს მოუწამლვენ. საყურადღებოა, რომ აბდულ-ჰამიდი წინანდებურად თავს ილამაზებს და კოხტაობას არ ივიწყებს: იღებავს თმასა და წვერსა, მეტად ხელოვნურად ილესავს პირისახეს და მუდამ ყოჩაღად და კაი ფერზე გამოიყურება.

# სპარსეთის ამბები

**თათბირი სპარსეთის საქმეებზე პეტერბურგში.**

„რ. სლოვო“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: დიპლომატთა წრეებში ლაპარაკი დაიწყეს, რომ რუსეთმა უთუოდ უნდა გამოიყვანოს თავისი ჯარი თავრიზიდან, რადგან მისმა იქ ყოფნამ უკმაყოფილება გამოიწვია მთელს ადგილობრივ ხალხში, პარტიის განურჩევლადო. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის უმაღლეს წრეებში ზოგიერთ უნდათ, რომ რუსის ჯარი დარჩეს თავრიზში უვადოდ: ესენი იმასაც არ ერიდებიან, რომ ასეთი მოქმედებით ინგლისის პროტესტს გამოიწვევენ. ინგლისმა ხომ უკვე მისცა მაგალითი რუსეთს თავის ჯარის გაყვანით ბუშირიდან ხმა დადის, რომ რუსის ჯარის გამოყვანაზე განსაკუთრებული თათბირი იქნება გამართული გარეშე საქმეთა სამინისტროში პირველ მინისტრის სტოლიპინის მონაწილეობითო.

**რუსეთი კიდევ ჰგზავნის ჯარს სპარსეთში.**

პეტერბურგში ხმა დადის, ვითომ გენ. სნარსკის ბევრ ჯარს მიაშველებენ, რადგან აუცილებლად მიაჩნიათ რუსის ჯარის გალაშქრება თეირანზეო.

**ოსმალეთს აკვირვებს ინგლის-რუსეთის მოქმედება.**

ოსმალეთის კონსულს თავრიზ ში უთქვამს „რ. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის: „ოსმალეთის მთავრობას მეტად აოცებს ინგლისის და რუსეთის მოქმედება სპარსეთში. ოსმალეთი ერთად-ერთი მონათესავე სახელმწიფოა სპარსეთისა, როგორც სარწმუნოებით, ისე ტომით. ინგლისმა და რუსეთმა-კი ისე შეკრეს ერთმანეთთან შეთანხმება სპარსეთის საქმეებზე, რომ სრულიად არ დაეკითხნენ ოსმალეთის მთავრობასაო“.

**თავრიზის ენჯუმენი ბესტში ჩაჯდა.**

თავრიზის ენჯუმენი მთლად, უკლებლივ ბესტში ჩაჯდა ოსმალეთის საკონსულოში.

**გერმანიის კონსული ეხმარება რევოლიუციონერებს.**

გერმანიის კონსულმა თავრიზში გამოუცხადა სპარსელ რევოლიუციონერებს, ვისაც გინდათ, შეგიძლიანთ ჩემს სადგომში ჩაჯდეთ ბესტშიო.

**რუსის საელჩო შეეკითხა გენ. სნარსკის.**

სათარ-ხანისა, ბაღირ-ხანისა და თავრიზის მთელის ენჯუმენის ბესტში ჩაჯდომამ ძლიერ დააფიქრა რუსის საელჩო თეირანში. საელჩომ მოსთხოვა გენ. სნარსკისა და კონსულ მილერს, დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ მიზეზი თავრიზელების აღელვებისა და მთელის ენჯუმენის ბესტში ჩაჯდომისაო. რუსეთის საელჩოს რწმუნებული საბლინი ამის მიზეზად სთვლის გერმანიის ინტრიგებს და ახალ საარჩევნო კანონს. საბლინის აზრით, გერმანია ცდილობს, რუსეთს საქმე გაუჭიროს სპარსეთში.

**ხალხის დატუსაღება ჯულფაში.**

რუსები ბევრს ატუსაღებენ სპარსეთის ჯულფაში. უკმაყოფილება გენ. სნარსკის სასტიკ მოქმედებით თან და თან ძლიერდება.

„გორც“-ს ატყობინებენ ჯულფიდან: 17 მაისს რუსეთის ჯულფაში რუსებმა დაატუსაღეს 5 სპარსელი ვაჭარი.

ამას გარდა სპარსეთის ჯულფაში დაატუსაღეს ოსმალეთის ქვეშევრდომები: ინჟინერი ჯალალ-ედინი, ოსმალელი ოფიცერი ჯემალ-ეფენდი და სომეხი დოქტორი მიკირტიჩიანი. გაჩხრიკეს სომხის მონასტერი წმ. სტეფანესი სპარსეთის სამფლობელოში დატუსაღებულებს გამოუცხადეს, რომ თავრიზიდან გამომძიებელი კომისია მოვა თქვენის საქმის გამოსაძიებლადო.

**რუსები მარანდაში.**

რუსის ჯარის უფროსმა ქალ. მარანდაში (ჯულფა-თავრიზის გზაზეა) ხალხს იარაღის აყრა მოსთხოვა. ამას გარდა მან აუკრძალა ხალხს გზა-ტკეცილის ორსავ მხარეს დანიშნულ მანძილზე მისვლა-მოსვლა და მოითხოვა გაცემა ვინმე გარუნისა, რომელმაც თოფი გაისროლა: ხალხმა ჩააბარა გარუნი, რომლის დანაშაული ჯერ დამტკიცებული არაა.

**ბოიკოტი უკვე დაიწყო.**

თავრიზში ზოგიერთმა სპარსელმა ვაჭარმა უარი განაცხადა რუსის ფირმებისგან საქონლის სყიდვაზე და იგივე საქონელი ინგლისის, ავსტრიის და გერმანიის ფირმებს შეუკვეთეს. („ზ.“)

თბილისში კერძო ცნობა მიიღეს, რომ მალე მთელ სპარსეთში საყოველთაო ბოიკოტი იქნება გამოცხადებული ერთის სახელმწიფოს საქონლის წინააღმდეგო.

**ოსმალეთის ჯარი წინ მიდის.**

ურმიიდან ცნობა მიიღეს თეირანში: „ოსმალეთის ჯარი ურმიიდან გავიდა და გაემართა მიანდაბისა და მარაღასკენ. ეს ორი ქალაქი ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, თავრიზიდან 200 ვერსტის მანძილზე.

საუჯ-ბულახის ქურთები (საუჯ-ბულახიც ურმიის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობს), ოსმალების დარიგებით, კონსტიტუციონალისტებს მიემხრნენ და მედგარი ბრძოლა დაიწყეს ადგილობრივ რეაქციონერების წინააღმდეგ. ქურთებს ზარბაზნები აქვთ.

მიანდაბის გუბერნატორმა ეს ამბები შეატყობინა სპარსეთის მთავრობას და მაშველი ჯარი მოსთხოვა („რ. უ.“)

**რუსეთის ახალი ელჩი სპარსეთში.**

რუსეთის მთავრობა, როგორც ამბობენ, გარტვიგის მაგიერად ელჩად თეირანში დაჰნიშნავს პოკლევსკი-კოზელს, ხოლო გარტვიგი დაინიშნება ელჩად ბელგრადში.

**რუსეთის სესხი.**

„ნოვ. ვრემია“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: მოლაპარაკება სესხზე თეირანში შესწყდა. სპარსეთის მინისტრები არა სთანხმდებიან იმ პირობას, რომლის ძალით რუსეთმა კონტროლი უნდა გაუწიოს ამ ნასესხებ ფულის დახარჯვას.

რუსეთის ჯარის შესვლამ სპარსეთში მხოლოდ გააბრაზა სპარსელები რუსეთის წინააღმდეგ და ხელი შეუწყო გერმანია-ოსმალეთის გავლენის გაძლიერებას“.

**სამინისტრო დარჩა სამსახურში.**

სამინისტრო მოურიგდა შაჰსა და სამსახურში დარჩა. კონფლიკტის მიზეზი შემდეგი იყო. სამხედრო მინისტრმა მუსქი-ელ-მამალეკმა პროტესტი გამოაცხადა წინააღმდეგ ემირ-ბაგადურ-ჯენგისა, რომელმაც სამხედრო მინისტრის დაუკითხავად მთელი ჯარი წაიყვანა თეირანიდან სალთანაბადში, სადაც შაჰი ცხოვრობს, სამინისტროს მოთხოვნით სამხედრო მინისტრმა სრული ზნეობრივი კმაყოფილება მიიღო შაჰისგან და ამის შემდეგ სამინისტრო დარჩა სამსახურში.

**პირველი მინისტრი არ მოდის თეირანში.**

სპარსეთის ეხლანდელ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ანუ პირველ მინისტრად შაჰმა დანიშნა ნასრ-ულ-მულკი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება პარიზში. შაჰმა ორჯელ სთხოვა ნასრ-ულ-მულკს თეირანში მოსვლა, მაგრამ იგი არ მოდის იმ საბუთით, რომ პარიზში საკუთარი საქმეები მაქვს და ჯერ ვერ მოვალო.

# კრიტოსის საქმე

**მოძრაობა საბერძნეთში.**

საბერძნეთის სატახტო ქალაქ ათინაში ძლიერდება ეროვნული მოძრაობა. ხალხი თხოულობს კუნძულ კრიტოსის შეერთებას საბერძნეთთან. ბერძენ ოფიცრებმა დააარსეს საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს კუნძულ კრიტოსის შეერთება. შეთქმული ოფიცრები ემუქრიან მეფეს, თუ ბეჯითად არ იმოქმედებ ამ საქმეში, ტახტიდან ჩამოგაგდებთო. რამდენიმე ოფიცერი უფროსების დაუკითხავად წავიდა კუნძულზე ადგილობრივ ხალხში აგიტაციის გასამართად.

ხმა დადის, რომ საბერძნეთი სერიოზულად ემზადება საომრადო.

**რას აპირებენ სახელმწიფოები.**

„რუს. სლოვ.“-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს შეუტყვია სარწმუნო წყაროდან, რომ მოკლე ხანში სახელმწიფოები მოლაპარაკებას გაჰმართავენ ოსმალეთთან კრიტოსის საქმის თაობაზეო.

**ოსმალელ პოლიტიკოსების იმედი.**

„ფრ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ ფაშა ამ დღეებში ესაუბრა ევროპის სახელმწიფოთა ელჩებს და გააცნო მათ, თუ როგორ უცქერის კრიტოსის საქმეს ოსმალეთის მთავრობა. ოსმალეთის პოლიტიკური წრეები ჰფიქრობენ, რომ ევროპიელი სახელმწიფოები ვერ შეასრულებენ თავიანთ დაპირებას და 1 ივლისის (ახ. სტ.) შემდეგ ჯარს არ გაიყვანენ კუნძულიდან და თუ ვინიცობაა სახელმწიფოები გაიყვანენ ჯარს კრიტოსიდან, მაშინ ისინი მოსთხოვენ საბერძნეთს, რომ მან გადაჭრით უარი განაცხადოს კრიტოსის შეერთებაზეო.

# წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლა.

(დასასრული *)

დასასრულ, აღნუსხავს რა ზემო აღნიშნულსა და სხვა მრავალ „გულსაკლავ მდგომარეობას“, რომელშიაც იმყოფება სკოლა, **ბ-ნი ტ. მიაქცევს ამ გარემოებაზე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და თავად-აზნაურთა მომავალ კრების აზრს.“** არ ვიტყვი, რომ წინამძღვრიანთ-კარის სკოლაზე ეგზომ უსამართლო მსჯავრის ნასკვი ამ ფრაზებში იმალებოდეს, მაგრამ ბ-ნ ტ.-ს ორიგვი ნახტომი ერთობ მაკვირებს. და განა ვის არ გააკვირებს ეგზომი უმადურობა იმ ადამიანისადმი,*) რომელიც 25 წლის განმავლობაში სკოლას თავს ევლება, მის შორსა და ღხინს იყოფს, რომელიც სკოლასთან განუყრელად სცხოვრობს და რომელმაც მთელი თავისი კეთილდღეობა სკოლის წარმატებას ანაცვალა. მაშ რისთვის დასჭირდა ავტორს „ამ გარემოებაზე“ „წერა-კითხვის საზოგადოებისა და თავად-აზნაურთა კრების“ ყურადღების მიქცევა! ნუ თუ მან არ იცის, რომ ზემოთ დასახელებულ დაწესებულებებზე უფრო ახლო სკოლასთან ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილი სდგას? თუ არ იცის ღმერთმა შეუნდოს, მაგრამ ჩვენი აზრით მან იცის ესა და მარტო უმადურობითაც არ უქცევს გზას სკოლის ნამდვილ მზრუნველსა და ჭირისუფალს.

შეიძლება ავტორი იმიტომ მიაქცევს „ამ გარემოებაზე“ წ.-კ. საზოგადოების ყურადღებას, რომ იცნობს მას, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელს სკოლათა მოწყობა - ხელმძღვანელობის საქმეში. თუ ეს ასეა, მაშინ რაღა გვეთქმის, სურვილი არც იმდენად საძრახისია, მაგრამ ავტორის უმეცრება მით უფრო თვალსაჩინოა. მას რომ წერა-

*) იხ. „დროება“ N 112.

*) ბ-ნ წინამძღვარიშვილზე ტ., სხვათა შორის, სწერდა: „ბევრს შრომობს ბ-ნი ილია წინამძღვარიშვილი, ბევრი ჩარჯიც მოხვლია, როგორც ამბობენ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „მარტო კაცი პურის ჭამაშიაც ცოდვაა“. ამიტომაც ზემოთ დასახელებული საზოგადოებანი (წ.-კ. საზ. და თავ.-აზნ.) მოვალენი არიან მიეშველნენ ბ-ნ წინამძღვარიშვილს და უშველონ არა მარტო ნივთიერად და რჩევით, არამედ მზრუნველობის გაზიარებითაც და ამით შეძლება მისცენ სკოლას სრულებით საფუძველი არ გამოეცალოს და არ დაიღუპოს“.

წინა წერილებში ბ-ნ ანს დავუმტკიცე, რომ ლატიშებმაც, რუტინელებმაც განვლეს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის საფეხური. ერთი ერი სხვის სახელმწიფოში სცხოვრობდა, მეორეს საკუთარი ჰქონდა. სხვის სახელმწიფოში? შემოგვძახა გახარებულმა ბ-ნმა ანმა. მაშ ეროვნების გამოსახვისათვის არა ყოფილა საჭირო საკუთარ სახელმწიფოს არსებობა, რაღას იძახით, „საჭიროა ქართულ სახელმწიფოებრივი პრინციპის გამოცოცხლებაო“? რა მნიშვნელობა ჰქონდა უცხო თუ საკუთარ სახელმწიფოს ეროვნების წარმოშობვის პროცესში, ამის შესახებ სხვა წერილებში უკვე გვქონდა ლაპარაკი (იხ. „ამირანი“, № 86). ბ-ნ ანს ჩვენს განმარტებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და იმის მაგიერ, რომ ბოდიში მოიხადოს და აღიაროს, შევცდი როცა ვთქვი, რომ რუტინელებს და ლატიშებს უსახელმწიფოდ უცხოვრიათო, იგი არა თუ არ იჩენს მონანიების სურვილს, არამედ შეუფერებელის სიტყვებით თვითვე გვიმასპინძლდება ჩვენ პირადად.

ამან ბოლოს იქამდე მიიყვანა ჩვენი პუბლიცისტი, რომ მან სრულიად აუხვია გვერდი საკამათო საგანს, პრინციპიალურ სჯა-ბაას და ჩემს საზოგადო აზრებს დაუწყო ინსპექცია. ამისი უფლება ბ-ნ ანს, რა თქმა უნდა, აქვს. ხოლო ეს ართულებს და აბნელებს საქმეს და პირდაპირ არც შეეხება საკამათო საგანს. საქმეც ეგ არის,—პირდაპირ თუ არ შეეხება, ირა-პირდაპირ ხომ შეეხება. და აი როგორ. ჯორჯაძე თავის ზოგიერთ ნაწერში პრინციპიალური მოპირდაპირეა სახელმწიფოსიო. ხოლო მისივე აზრით ეროვნება უსახელმწიფოდ არა სცოცხლობს. ხათაბალაში არ გაბმულა საბრალო კაცი. „იგი უარყოფს სახელმწიფოს, ამბობს ბ-ნი ანი, და **ამავე დროს** (კურსივი ჩვენია) მეორე ალაგას... გამოდის სახელმწიფოს და პარლამენტის თავგამოდებით დამცველად საქართველოსთვის... ბ. ჯორჯაძე, აგვიხსენით ეს სამაგალითო ორთავიანობაო“?

როგორც ჰხედავთ, ხერხის აზრი ის არის, რომ მკითხველის წინაშე ასე თუ ისე სახელი გამიტეხოს, გააბათილოს ჩემი სამწერლო ვინაობა და ამ გზით შეამციროს ძალა ჩემ მიერ წარმოყენებულ საბუთებისა. ამას ჰქვია ჩასაფრება და მალულად მტერზე თავსდასხმა. ამგვარ ხერხს ხანდისხან თავისი ნაყოფი მოაქვს. ბ-ნ ანს სწორედ ამ ნაყოფის იმედი აქვს. მძიმე ბრალდებას მდებს. „ორთავიანობა“ მწერლისათვის ვერაფერი თამასუქია. მაგრამ ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ არც თუჯიდან ჩამოსხმული ერთ წერტილზე მდგარი მაგარი თავი არის მაინც და მაინც სასიქადულო რამ. „ორთავიანობა“, თუ ორსავე თავში აზრი ტრიალებს, ადამიანს შეიძლება გამოადგეს კიდეც გაჭირვებაში, მაგრამ ვაი იმ აზროვნების ბრალი, რომელიც გაშეშებულა და გაყინულა ერთგვარ კმაყოფილებაში!

ასეა თუ ისე, საჭიროა ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმ ბრალდების შესახებ, რომლითაც ბ-ნი ანი გამოდის ჩემ წინააღმდეგ. მკითხველს უნდა მოვაგონო შემდეგი; 1906—1907 წელს გამოვიდა ჩემი ორი წიგნაკი. ამ წიგნაკებში მე ვიცავდი ანარქიულ პრინციპებს და ფედერალიზმის იმ მიმდინარეობას და განმარტებას, რომელსაც აღიარებდა „ინტერნაციონალში“ ცნობილი იურის ფედერაცია. შემდეგ ამისა 1908 წელს და არა იმავე დროს, როგორც ირწმუნება ბ-ნი ანი, დავბეჭდე „ამირან“-ში „სამშობლო და მამულიშვილობა“ და მთელი სერია სხვა წერილებისა. აქ მე ვწერდი: „...ცხოვრება საორგანიზაციო მუშაობას საჭიროებს. თუ ჩვენს აღფრთოვანებას ფრთები შეაკვეცეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულ-ხელ დაკრეფილნი ვისხდეთ... დღეს ძალთა განწყობილება იმნაირია, რომ სოციალურ ასოციაციათა ფედერაციაზე ლაპარაკი უდაბნოსა შინა მღაღადებელ ხმად ეჩვენება ყველას“ („ამირანი“ № 118). სხვა ადგილს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში არსებულ იდეიურ შეუთანხმებლობის შესახებ და ჩემს შესახებაც ვწერდი: „ერთნი (პარტიაში) ევროპის სოციალისტურ ფედერალიზმის პრინციპებით აღჭურვილნი სცდილობდნენ ჩვენშიაც მიეცათ ფედერალისტურ მოძრაობისათვის ის ხასიათი, როგორიც ჰქონდა მას ინტერნაციონალში; მეორენი, ისტორიულ, ადგილობრივ პირობებზე მდგარნი, იცავდნენ ეროვნულ და პოლიტიკურ ფედერალიზმს და მხოლოდ ამ პირობებში სოციალისტურ მუშაობას. ამ განხეთქილებამ შესაფერ და სოციალისტურ მოძრაობის შესასწავლად საინტერესო მასალა დაჰბადა და ჩვენ მას ამ ჟამად არ ვეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ **ამ ორ მიმართულებაში, დღევანდელ პირობების მიხედვით, გამარჯვება დარჩა ფედერალისტურ მოძრაობის იმ ნაკადულს, რომელიც სწყვეტს და ხსნის ეროვნულ პრობლემას პოლიტიკურ ფედერალიზმის საშუალებით და აწარმოებს სოციალისტურ მოქმედებას ამ პოლიტიკურ ფორმების ფარგალში.** ვგონებ, აზრი ნათელია. გარკვეულად ვთქვი, რომ გარემოებას და რეალურ პირობებს ანგარიში გავუწიე და წინანდელ პრინციპებზე დგომა შესაძლებლად აღარ მივიჩნიე. რევოლიუცია დამარცხდა და მასთან ერთად დამარცხდა შემოქმედებითი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. რევოლუციის დროს საჭირო იყო ფორმულებში ჩამოყალიბებულიყო მაქსიმუმი ამ მისწრაფებათა, რადგან რევოლუცია არღვევს და სწყვეტს კანონს მიზეზობრივობისას და საზოგადოებრივ ცხოვრების დინამიკურ ძალას შემოქმედებით მუშაობაში ჰპახავს და ანვითარებს. რევოლუციის შეჩერება დროებით აფერხებს ამ ძირითად შემოქმედებას, ხოლო არ აჩერებს საზოგადოების საორგანიზაციო მუშაობას. ამგვარ საორგანიზაციო მუშაობად (პოლიტიკურ ცხოვრების ფარგალში) ამ ჟამად ფედერალიზმის და ავტონომიისათვის ნიადაგის მომზადება მიგვაჩნია. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ აქ სათაკილოს არაფერს ვხედავ ჩემს სამწერლო სახელისთვის. ბ-ნმა ანმა კი საძრახად გამიხადა საქმე. მკითხველს ისე აჩვენა, ვითომ მე ერთ წერილში ერთს ვამბობდე, მეორეში მეორეს და ვითომ სიტყვაც არა მქონდეს ნათქვამი იმის შესახებ, თუ რითი ვხელმძღვანელობდი, როდესაც ახალ ცხოვრების პირობებს შევუგუე ჩემი პოლიტიკური აზროვნობა. თუ აზრის ცვლილება გაინტერესებთ, ამ ცვლილების მოტივების გარჩევაშიაც უნდა შესულიყავით. თქვენ კი არა თუ არ შედიხართ ამ გარჩევაში, მკითხველს უმალავთ კიდეცა, რომ ამგვარი მოტივები მაქვს წამოყენებული. მე კარგად მესმის, რომ თქვენს თვალში ყოველგვარი საშუალება კარგია, რომელიც კი მიმართულია თქვენ მოპირდაპირის დასამცირებლად, მაგრამ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ, რომ ყოველივე ეს არ არის საკადრისი მწერლისთვის, რომელსაც თავისი თავის პატივისცემა არ დაუკარგავს.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(შემდეგი იქნება)

კითხვის საზოგადოების ანგარიში წაეკითხა, ბოლო წლებისა მაინც, გაიგებდა, რომ 8 სკოლიდან 6 დაეხურა და დარჩენილებშიაც სწავლების საქმე დაიწია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ის მაინც გაეგო დალოცვილს როგორ უწყობს ხელს ადნიშნულ საზოგადოების გამგეობა გურამიანთ-კარის სკოლას. მაშასადამე, წერა-კითხვის საზოგადოება არც ისეთი „მწველელი ფური" ყოფილა, რომელსაც ავტორის მიერ ათვალწუნებულ წინამძღვრიანთ-კარის სკოლის დაწიხვლის" უფლება ჰქონდეს.

რაიცა შეეხება „თავად-აზნაურობის მომავალ კრებას", კორესპონდენტი ალბად სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობს. საქმე იმაშია, რომ 1890 წლიდან და არა სკოლის დაარსებიდან, როგორც ეს ბ-ნ ტ.-ს ჰგონია, თავად-აზნაურობა სკოლას ეხმარება ნივთიერად. ის აძლევს მას წლიურად 5000 მანეთს, საიდანაც 1000 მანეთი 10 ღარიბი თავად-აზნაური ბავშვის შენახვას უნდება. ამგვარად „თავად აზნაურობის მომავალ კრებას" აქვს საბუთი იკითხოს სკოლის ვითარება. და განა არ კითხულობდა ის სკოლის ამბავს? დიახაც კითხულობდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ბ-ნ ტ-ს უბედურება, ის თითქო ზეციდან ჩამოვარდნილა, ამ ქვეყნიური მას არაფერი გაეგება. თავად-აზნაურობას კარგად ესმის, რომ ისე სარგებლიანათ მას არსად არ დაუხარჯავს ფული, როგორც ეს წინამძღვრიანთ-კარის სკოლაზე.

აი თუნდ მოვუსმინოთ, რასა სწერს ბ-ნი ვ. თულაშვილი, ერთი წევრთაგანი იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თავად-აზნაურობისაგან საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად მასალის მოგროვება.

„თუ რის გაკეთება შეუძლია ადამიანს, რომელიც მთელი თავისი არსებით გატაცებულია ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით, ამის საუცხო მაგალითს გვაძლევს ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილის მოღვაწეობა. ილია წინამძღვრიშვილმა ყველასათვის თვალსაჩინოთ დაამტკიცა, რომ ენერგიულსა და საქმისათვის თავდადებულ გულწრფელ მუშაკს ბევრგვარი დაბრკოლების დაძლევა შეუძლია. მე მოგახსენებთ სიტყვ. წინამძღვრიანთ-კარში სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ. თავისი დაუღალავი ენერგიითა და საქმის უსაზღვრო სიყვარულით, მიუხედავად ქონებრივი სიღარიბისა, ილია წინამძღვრიშვილმა საშვილიშვილო საქმე მოიმოქმედა და სულ რაღაც ციოდ წლის განმავლობაში*) მისმა ნაღვაწმა ღრმა კვალი გაავლო ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გიკვირს ადამიანს, როცა ხედავ, რომ ესოდენ მცირე ხნის განმავლობაში სკოლამ ასეთი გასაოცრებელი ნაყოფი გამოიღო. მან შექმნა მთელი კონტინგენტი რაციონალურ მამულების მმართველებისა. ბევრმა მათგანმა განაგრძო თავისი სპეციალური სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში.

რომ ცრუ მეტყველობა არ დაგვწამოთ, მოვიყვან ცნობებს სკოლის ანგარიშიდან: წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში კურს დამთავრებულ ახალ-გაზდებს მეხვდებით მრავალ სხვადასხვა დარგებში.

1) ზოგიერთნი მსახურობენ მმართველებათ მსხვილ მამულებში და იღებენ წლიურათ 300—1200 მან.

2) ასწავლიან სამეურნეო საგნებს სხვა და სხვა სკოლებში.

3) არიან ინსტრუქტორებათ სადილოქსეროს კომიტეტში.

4) მუშაობენ სარდაფებში.

5) მსახურობენ საუფლისწულო მამულებში.

6) განაგებენ ყველისა და ერბოს საკეთებელ ქარხნებს.

7) აქვთ საკუთარი სამჭედლო და სადურგლო სახელოსნოები.

8) მსახურობენ სამეურნეო სკოლის გამგეებათ და სხვა და სხვა."

რასაკვირველია, ბ-ნი თულაშვილი მარტო ამით არა კმაყოფილდება, ვრცლად აღნუსხავს სკოლის მოღვაწეობს, მაგრამ ჩვენთვის ეს მცირე ამონაწერიც კმარა. აქედანაც ცხადადა სჩანს, რომ თუ კაცი საქმეს საფუძვლიანად გაეცნობა და სამართლიანად განსჯის, იმ დასკვნამდე ვერას შემთხვევაში ვერ მივა, სადაც აჩქარებულმა და უმართებულო მსჯავრმა ბ-ნი ტ. მიიყვანა.

ზემოდ მოყვანილ მოკლე ციტატიდან ნათლად სჩანს, თუ რა აზრისაა თავად-აზნაურთა კრების მიერ ხდობით აღჭურვილი პირი და ვგონებ ბ-ნ ტ-ს რომ ეს სცოდნოდა, ილია წინამძღვრიშვილს არ ეკადასხტებოდა და მის „მოსაზრებას" სათ.-აზნაურთ კრებისაკენ და მით უმეტეს წერა-კითხვის საზოგადოებისაკენ არ [illegible]. ამას [illegible]

*) მოხსენება წაკითხულია 1904 წელს.

ვამბობ, არა იმიტომ, ვითომ ტ-ს მოსაზრებას ფასი ჰქონდეს,— სხვას რომ თავი გავანებოთ, იგი ყალბ ცნობებზედაც არის აშენებული.

**ნ. კალანდაძე.**

## პრივატ-დოცენტის ივ. ჯავახიშვილის ლექცია

პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია, ოთხშაბათს და ხუთშაბათს (27 და 28 მაისს) წაიკითხავს ორ ლექციას ამ სათაურით: „ქართულ სამართლის ისტორია".

მოგვყავს აქ პროგრამა ამ ლექციისა:

**1. ქართულ სამართლის წყაროები 9—18 ს.:**

1. ბაგრატ პირველის კურაპალატის სასამართლო წიგნი (9 ს.).
2. გიორგი მეხუთის ბრწყინვალის ძეგლის დადება (14 ს.).
3. ათაბაგების ბექასი და აღბუღას სასამართლო წიგნები (14 და 15 სს.).
4. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი და „დასტურლამალი"* (18 ს.)
5. იოანე ბატონიშვილის 1799 წ. სახელმწიფო მართვა-გამგეობის სამართლის წიგნი.
6. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა" 1800 წ.
7. საეკლესიო კრებების ძეგლები, სიგელ-გუჯრები და სხვა საბუთები და თხზულებები, რომელშიაც ქართულ სამართლის შესახებ ცნობები მოიპოვება.

**2. ქართულ სამართლის — ტერმინები და საზოგადო ცნობები.**

1. სამართალი, სჯული და უფლება.
2. ძეგლი, განაჩენი, დადება და კანონი.
3. ჩვეულება, წესი, განგება.
4. „ბუნებითი და დაწერილი სჯული".
5. სამართლის სამ დარგად დაყოფა საქართველოში („სისხლი", „პატივი" და „სასაქმო").

**3. სახელმწიფო სამართალი 9—12 ს.:**

1. მეფობის აღდგენა და ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. მეფობა (ერთუფლება, ერთმთავრობა და მრავალმთავრობა), დავითიანთაგან, ხუასროანთაგან და ბაგრატიონიანთაგან ჩამომავლობის თეორია (ულუმპიანობა და შარავანდედობა), მეფის სახელწოდება. უფლის-წულის აღზრდა, მემკვიდრეობის წეს-რიგი; მეფის კურთხევისა და დალოცვის წესი.

2. მეფის უფლება: იგი იყო ქვეყანათა მფლობელი,—მამული და სამეფო; იგი იყო პატრონი, პატრონ-ყმობა. საქართველოს მეფეს არასდროს განუსაზღვრელი უფლება არა ჰქონია; ბრძოლა პარლამენტის მაგვარ დაწესებულების დასაარსებლად. რომელი საქმეები „ეთხოვებიან მეფობასა": საეკლესიო საქმეებში, კანონმდებლობასა და სამოსამართლო საქმეებში, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

3. დარბაზობა და დარბაზობის წესი („თხზვა დარბაზობისა" და „დარბაზობად მისვლა", ან „დარბაზობად მოყვანა", „წესი ჯდომისა და დგომისა", დარბაისელნი, ტაძრეულნი, დალოცვილი). მეფის დასაფლავებისა და გლოვის წესი (ძაძის ჩაცმა, გლოვა, საგვარეულო სამარხე).

4. ხელისუფალნი და ხელის მომქმედნი: ვაზირები, ვაზირთა საბჭო, მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, მანდატურთ-უხუცესი და სხვა; ვაზირნი ხელშინაურნი: მეჯინიბეთ-უხუცესი, ამირახური, მეაბჯრეთ-უხუცესი და სხვა.

საგამგეოსა ხელისუფალნი: მეფეთა ადგილსა მჯდომი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი, მოწაპირე და მარზაპანი, ამირა და ქალაქის ბერნი, მამასახლისი და გზირი.

5. წოდებანი: აზნაურები და ფაჩნონი, დიდგვარიანი, ციხიანი და უციხო აზნაურები, თავადი, უგვარონი, მსახურნი. ბრძოლა დიდგვარიან აზნაურებსა და უგვარო აზნაურებს შორის. მოქალაქენი და ქალაქის მკვიდრთაგანი, თავადი, დიდვაჭრები და ვაჭრები. სოფლიონნი: გლეხები, ყმები, მონა-ყმები.

**4. საეკლესიო სამართალი 6—12 ს..**

1. დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის 9—10 ს. და 11—12 ს.

2. ქართულ ეკლესიის წეს-წყობილება: საერო სამღვდელოება და საყდრები— დიაკონი, ხუცესი, ქორ-ეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, მონაზონები და მონასტრები. კათოლიკოზი, მის არჩევის წესი და რიგი. ქართულ ეკლესიის წოდებრივი წყობილება, ბრძოლა თანასწორობის დამყარებისა და ეკლესიის ზნეობრივ დანიშნულების განხორციელებისთვის. ორი ზნეობრივ-სარწმუნოებრივი გზა—საეკლესიო და საერო.

3. საეკლესიო კრებები, მათ მოწვევისა და საქმეების წარმოების წეს-რიგი, საეკლესიო კანონები.

[illegible]

და დიდგვარიან სამღვდელოებას შორის.

**5. სამოქალაქო სამართალი 9—12 ს.:**

1. ცოლ-ქმრობის სამართალი: ქორწინება ქალის მოტაცებით არ იცოდნენ, დაწინდვა, ჩჩვილთა ქალ-ვაჟთა დაწინდვა, პირი მზახობისა; ჰასაკი: ქორწინების დამაბრკოლებელი პირობები: მცირე წლოვანება, ნათესაობა, მწვალებლობა; გვირგვინთა კურთხევა; წარმომადგენლობითი გვირგვინთა კურთხევა, ქორწინება—სამხრობა; რამდენჯერ შეიძლებოდა ცოლის შერთვა? „სჯულიერი" ცოლები და ხარჯები.

2. საკუთრებისა და მფლობელობის სამართალი: საცოლ-ქმრო ქონება (მამული, დედული და მონაგები, მზითევი); მემკვიდრეობის სამართალი (გაყრის წეს-რიგი, საუხუცესო ნაწილი და ხვედრი; ქალებს მამულის დამკვიდრება შეეძლოთ); ნაფერძი.

3. მოვალეობის ანუ საუნჯოთა სამართალი: ყიდვა-გაყიდვა, მოგება, ჩუქება და შეწირვა.

**6. სისხლის სამართალი 9—12. ს.:**

შესავალი: ბრალი და ცოდვა. „ნივთი შეცოდებისა", „ბრალეული" და „უბრალო"; დანაშაულობის თვისების გარჩევა: ნებსითი, უნებლიეთი და „სრულიად უნებელი და გარეშე გონებისა" ბოროტ-მოქმედება, „განზრახული" და „განზრახ განგებული" ბოროტ-მოქმედება; „შეზრახება", „შედგომა" და „თანადგომა"; „მეშველი" და „ასაბია", „თანამზრახველი", „ძალმცემელი" და „თანაშემწე".

1. გადგომა და ღალატი; „მინდობითა" და „შუამდგომლობით ღალატის მოსპობა; მისავებელი გადგომისათვის.

2. კაცის კვლა და გერში. სისხლის შურისძიება ამ დროს უკვე წესად არა ჰქონიათ ქართველებს; დაჭირავებული კაცის მკვლელნი: გერში და ნახშირი; სისხლის დაურვება და სასჯელი.

3. ავაზაკობა და მოპარვა, საკრძალავსა ადგილსა და საუნჯოთა; მპარავთ მეძებელი. სასჯელი ავაზაკობისა და პარვისათვის.

4. მრუშება და სიძვა; სასჯელი მრუშებისა და სიძვისათვის.

**7. სასამართლოები, სასამართლოს წარმოება და მისაგებელი 9—12.:**

1. სასჯულო სამრევლო, საეკლესიო და სამრევლო სასამართლო. სამგვარი სასამართლო: გლეხებისა, ვაჭრებისა და აზნაურთათვის, შეერთებული საერო-საეკლესიო სასამართლო. უმაღლესი სასამართლო, მთავრობისაგან განცალკევებულ სასამართლოს დაწესება. უზენაესი სასამართლო— დარბაზი და კარავი, დარბაზის წევრნი.

2. სასამართლოს წარმოება: მოსამართლე, ანუ ბჭე, ვინ ირჩევდა მას; რამდენი მოსამართლე იყო? რამდენი მოწამე იყო საჭირო? საბუთების წაკითხვა, მოწმეთა და მთხრობელთა მოსმენა, მოპირდაპირეთ სიტყვის-გება, მოსამართლეთა ბჭობა და სამართლის გადაჭრა.

3. სხვა-და-სხვა სასჯელი და მისაგებელი: სიკვდილი, ძელზე აღება, თვალთა დაბნელება, ასოთა მოკვეთა, ანუ მოღება, ტაჯგანაგის დაკვრა, პატიჟი და ექსორია; ვიდრე სასჯელს აასრულებდნენ თავდაპირველად საჭირო იყო მეფის „მეცნიერება" და „შეკითხვა". ქართულ სამართლის გასაოცარ დაწინაურების საბუთები 12 ს.

4. დაბალ სასამართლოში მამასახლისი და მოურავი ბჭედაც იყვნენ და დამაურვებელადაც. სამოსამართლო გადასახადი, ჯარიმის 1/7 ერისთავისა იყო, აქედან 1/2 მისი მოურავი იღებდა.

**8. საერთაშორისო სამართალი:**

1. საერთაშორისო ურთიერთობა მაშინაც მარტო ძალაზე არ ყოფილა დაფუძნებული, მეზობლობისა სამართალი და წესი არსებობდა, რომლის დარღვევაც საძაგელი იყო.

2. ერთობისა და სიყვარულის ფიცნი და სიმტკიცენი სამეფოთა შორის, მოციქულთა და ძღვნების გზავნა მშვიდობისა და კავშირის დასამყარებლად.

3. სამეფოთა შეთანხმებული მოქმედება (კოალიცია) საერთო მტრის წინააღმდეგ.

4. უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა პოლიტიკური მფარველობა.

5. დიპლომატიური იძულება და იდუმალი გარევა მეზობელ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში. მოსამზღვრე მეფეების ყმად ყოლა.

6. მოციქულების მოკვლა და დასჯა არ შეიძლებოდა. ტყვეების მდგომარეობა. ქართველების კულტურის დაწინაურების უტყუარი საბუთი 12 ს.

7. ომის წეს-რიგი.

## თეატრი და ხელოვნება

„პატარა კახი". 23 მაისს ქართველ მსახიობთა დასმა წარმოადგინა აკაკი წერეთლის „პატარა კახი". ეს პიესა ზამთარშიც დასდგეს. ეხლა წარმოდგენის ინტერესი უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ თვით „პატარა კახის" როლის ასრულებს ნ. დავითაშვილს ეკისრნა. ყველას ინტერეს- [illegible]

თუ ამ წარმოდგენამ რამე შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, ეს მხოლოდ ქ-ნ დავითაშვილისა და ბ-ნ შალიკაშვილის დაკვირვებულ თამაშის მეოხებით. ერთი დიდი ღირსება აქვს ქ-ნ დავითაშვილს—მკაფიო გამოთქმა რომლიც ხომ ყოველთვის იცის. ლექსის წაკითხვის უნარიც აქვს. დავითაშვილიცა და შალიკაშვილიც ლექსს კარგად კითხულობდნენ, მაშინ როდესაც სხვები არც კი სცდილობდნენ, ცოტა მაინც გვარიანად წაეკითხათ, რომ შესაზარი არ ყოფილიყო მათი მოსმენა.

მატარაძე მეტად სუსტი იყო. რომ უყურებ იმის თამაშობას, ძალაუნებურად მაგონდება ა. იმედაშვილი. მატარაძე თითქოს კიდეც სცდილობდა მიებაძნა იმედაშვილისთვის, მაგრამ ამასაც უნარი სჭირია.

საერთოდ წარმოდგენა სუსტი იყო. სუსტობდა ანსამბლი. დიდი მოთმინება იყო საჭირო, რომ ბოლომდის მოგესმინა ბ-ნ იმედაშვილი—ხაშმელისათვის. მის მიერ „გაპიროვნებული" მეფე თეიმურაზი როგორც გარეგნობით, ისე სულის სიმტკიცით უფრო მეწვრიმალესა ჰგვანდა, ვიდრე მეფეს.

„პატარა კახის" გარდა წარმოადგინეს რაღაც მასხარაობა „გეურქ-აღა და შანტაჟისტები", რომელზე ლაპარაკიც კი არა ღირს. ბ-ნი სათვაროვი ბევრს კლოუნობდა.

## რუსეთი

✦ **პეტრუნკევიჩის განთავისუფლება.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშითატყობინებენ: „დილით 22 მაისს, სატუსაღოდან გაანთავისუფლეს პირველ სათათბიროს დეპუტ. პეტრუნკევიჩი. პეტრუნკევიჩს სატუსაღოს კარებთან დახვდნენ ნაცნობები და მეგობრები, რომლებმაც ყვავილები მიართვეს". პეტრუნკევიჩი პირველ სათათბიროს ერთი გამოჩენილი დეპუტატთაგანი იყო. როდესაც პირველი სათათბირო შეიკრიბა, პირველად მას როგორც უხნეს დეპუტატს, მისცეს სიტყვის თქმის უფლება. პეტრუნკევიჩმა პოლიტიკურ ტუსაღებისთვის ამნისტია მოითხოვა. როდესაც პირველი სათათბირო დაითხოვეს, როგორც ვიცით, დეპუტატები ვიბორგში წავიდნენ და აქ მოწოდება შეადგინეს. ამ მოწოდებაზე, სხვათა შორის, პეტრუნკევიჩმაც მოაწერა ხელი. სწორედ ამისთვის სასამართლომ პეტრუნკევიჩს სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

✦ **შუამდგომლობა.** სარატოვის ეპისკოპოს გერმოგენს და სამღვდელოებას შუამდგომლობა აღუძრავთ, ნუ დაამტკიცებთ „სტაროობრიადცების" სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონპროექტსო.

**პურიშკევიჩი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, სასამართლომ პურიშკევიჩს ქ-ნ ფილოსოფოვას და ქალთა კრების „შეურაცხყოფისათვის ერთი თვით დაპატიმრება მიუსაჯა. პურიშკევიჩს შუამდგომლობა აღუძრავს, ავად ვარ, ნება მომეცით საზღვარ-გარედ წავიდე და დაბრუნებისას ჩავჯდები ციხეშიო. ამასთან „დეპუტატი" თხოულობს ნება მომეცით სასჯელი აკერმანის (აქაურია პურიშკევიჩი), ან ოდესის სატუსაღოში მოვიხადოვო.

✦ **მონასტრის სიმდიდრე.** სინოდის სამეურნეო მართველობას მონასტრების სიმდიდრის შესახებ შემდეგი ცნობები მიუღია. პირველი ალაგი მონასტერში სჭერია სერგიევის ლავრას, რომელსაც მარტო ფულად 3 მილიარდი მანეთი ჰქონია, მეორე კიევო-პეჩორის ლავრას, 1 ნახ. მილიარდი მანეთი და მესამე ალექსანდრე ნეველის ლავრას, რომლის წლიური შემოსავალი 1 ნახ. მილიონ მანეთს უდრის თურმე.

✦ **სინოდ. განკარგულება.** „რეჩის" სიტყვით. საეპარქიო ეპისკოპოსებს სინოდისგან ბრძანება მიუღიათ, დაწვრილებით შეგვატყობინეთ როგორ კერძო ცხოვრებას ატარებენ მღვდლებიო.

✦ **სინიდისის თავისუფლება და მღვდლები დეპუტატები.** როგორც ვიცით „სტაროობრიადცების" სარწმუნოების თავისუფლების შესახებ კანონ-პროექტის გარჩევის დროს ოთხმა დეპუტატმა—მღვდელმა კანონპროექტს მისცა ხმა. გაზეთების სიტყვით მემარჯვენეებს გადუწყვეტიათ აღძრან საკითხი, რომ ამ მღვდლებს ეხლავე ჩამოვართვათ მრევლი და როდესაც დეპუტატობის ვადა გაუვათ, მღვდლობაც ჩამოართვან.

✦ **დამშეული გლეხები.** სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატებს ოლონეცის გუბერნიის გლეხებისგან წერილი მიუღიათ. წერილში, სხვათა შორის, სწერია: „მთავრობა ამტკიცებს, რომ ჩვენ მაძღრები ვართ, ნეტარ ცხოვრებას ვატა- [illegible] დეს, რომ ჩვენ მშიერები ვიხოცებით, საქონელი თითქმის გავყიდეთ, (რადგან საჭმელი ჩვენთვის არ გვქონდა და საქონლისთვის რა გვეჭმია) და ამას ზედ ისიც ემატება, რომ მერმისაც შიმშილი მოგველის. საჭირო თესლი, რაიც არ მოგვეპოვება. იმას კიდევ არა უშავდა, რა, რომ მთავრობას მარტო თესლი არ მოეცა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ხარჯებში ყველაფერი გაგვიყიდეს და მთელი სოფლობით, ხარჯის შეუტანლობის გამო, სატუსაღოებში სხედან. მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობა მაინც დარწმუნებულია, რომ ჩვენ კარგ ცხოვრებაში ვართ". გლეხები დეპუტატებს სთხოვენ, როგორმე გვიშველეთ და მოგვიხერხეთ, რომ მთავრობამ სესხად თესლი მოგვცესო.

✦ **პროფ. მეჩნიკოვი.** ამ რამდენიმე ხნის წინეთ რუსეთში ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერი, ბუნების-მეტყველი პროფ. მეჩნიკოვი. მეჩნიკოვი ამ ჟამად პასტერის ინსტიტუტში მუშაობს. რუსეთიდან იგი უცხოეთში თავის ნებით არ წასულა. აი რა უთქვამს თვითონ მეჩნიკოვს „რუსკ. სლ." კორესპონდენტისათვის: ეს იყო 1882 წ., ალექსანდრე მეორის მოკვლის მეორე წელს. მე მაშინ ოდესის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად ვიყავი. იმ პროფესორებისთვის, რომლებმაც თავიანთ თავი მარტო მეცნიერებას შესწირეს, ცუდი დრო დადგა. სტუდენტები მარტო პოლიტიკით იყვნენ გატაცებულნი. მთავრობა ყველაფერში და ყველაში რევოლიუციას ხედავდა. ეჭვის თვალით მარტო პროფესორებს კი არ უყურებდნენ, არამედ თვით მეცნიერებასაც. ამრიგად პროფესორებს ორი უბედურება დაგვატყდა. ქვევით სტუდენტები და ზევით მთავრობა, ე. ი. ორ ცეცხლშუა ჩავცვივდით. რა თქმა უნდა ამისთანა პირობებში მუშაობა არ შეიძლებოდა და იძულებული ვიყავი სამზღვარ გარედ წავსულიყავი. პასტერი 1887 წელს გავიცანი, იმ დროს, როდესაც მის ინსტიტუტს ჯერ კიდევ აშენებდნენ. მე ვსთხოვე პასტერს ინსტიტუტში მივეღე, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა და 1888 წელს (ამ წელს დასრულდა ინსტიტუტის შენება) პასტერმა მთელი განყოფილება ჩამაბარა. მეჩნიკოვს დიდი აღტაცებით დაუხვდნენ რუსეთში. პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე მეჩნიკოვმა ხოლერაზე ლექცია წაიკითხა. ლექციას მაღალ სასწავლებლების პროფესორები და პეტერბურგის მთელი ექიმობა დაესწრო. პეტერბურგში ყოფნის დროს მეჩნიკოვმა, სხვათა შორის, ინახულა ქალთა საექიმო ინსტიტუტი. მეჩნიკოვმა დაათვალიერა ინსტიტუტი და ინსტიტუტში ორი საათი დარჩა. მას ინსტიტუტის პროფესორებთან დიდი კამათი მოუვიდა ხოლერის შესახებ. საქმე იმაშია, რომ რუსეთის პროფესორები ხოლერისგან აცრას დიდ ყურადღებას აქცევენ. მეჩნიკოვი და მისი მიმდევრები კი აცრას უსარგებლოდ სთვლიან. როდესაც კამათი დასრულდა, კურსისტკებმა დიდი აღტაცებით გააცილეს მეჩნიკოვი.

მეჩნიკოვი პეტერბურგიდან მოსკოვში მიდის, სადაც ხოლერაზე წაიკითხავს ლექციას. [illegible]

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა
**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—92)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლეავამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—6.—60)

**იყიდება**

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომით 360 ოთხკუთხი საჟ.; 2.—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე.
(5—260—4)

მუხჯალტრის საზაფხულო
**კ უ რ ს ე ბ ი**
განაგრძობს მიღებას სწავლის დაწყ. 1 ივნისს. ხუსტები მეორედ რჩებიან უფასოდ. ინსპ. საკ. სკოლ. და კურს. ივ. ზ. ტერ-სტეფანოვი. ავჭალის ქ. დასაწყისში, 1 თუმან ქ., ს. სა-N 13.
(3—278—1)

**ბორჯომ—აბასთუმანი**

ამით ეუწყა იმათ, ვინც აბასთუმანს მიდიან, რომ საფოსტო სადგურზე ბორჯომში არის მრავლად სხვა და სხვა ეტლი: 2, 3 და 4 ადგილიანი „პალიასკები", ლანდო, 4 და 6 ადგილიანი დახურული ეტლები, 2 და 3 ადგილიანი კარეტები, აგრეთვე დიდი ფლანგარდები ნივთებისთვის. ეტლების მიმოსვლა სწრაფი და შეუჩერებელი. ყოველ დღე დილ-დილობით გადის ვადიანი ომნიბუსები. ვინც ეტლს დეპეშით დაიჯერებს, მას მატარებლის მისვლისათანავე აზვედრებენ ეტლს. დაწვრილებით ცნობების გაგება 1 ივლისამდე ტფილისში, ბაქოს ქ., N 7. ხოლო ბორჯომში საფოსტო სადგურზე.
(1—1000—1)



Швейныя машины „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქს მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—38)